საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №208
2015 წლის 7 ივლისი

ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით (ვებგვერდი, 17.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016392) დამტკიცებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)”-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
„კარი IV”-ის „ჯგუფი 24“-ის 2402 სასაქონლო პოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2402	**სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, სიგარილები (წვრილი სიგარები) და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან:**	
2402 10	– სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით და სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით:	
2402 10 000 01	– – სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1000 ცალი
2402 10 000 02	– – სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	1000 ცალი
2402 20	– სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით:	
2402 20 100 00	– – მიხაკის შემცველობით	1000 ცალი
2402 20 900	– – დანარჩენი:	
2402 20 900 01	– – – სიგარეტი ფილტრის გარეშე	1000 ცალი
2402 20 900 02	– – – დანარჩენი	1000 ცალი
2402 90 000 00	– დანარჩენი	—“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**